საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

24 ოქტ 2024 წ.

KA000051602408224

№ **2024/5767**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

რეკომენდაცია

მსჯავრდებულ [redacted] [redacted] N10 პენიტენციური დაწესებულებიდან მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს სპეციალური პენიტენციური სამსახურის N10 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, [redacted] [redacted] საქმეს. მსჯავრდებულის განმარტებით, მისი ოჯახის წევრები ცხოვრობენ ქუთაისში, ხოლო თვითონ, 1 წელია, სასჯელს იხდის N10 პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელიც შორს არის მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილიდან. აღნიშნულის გამო კი, ვეღარ სარგებლობს ოჯახის წევრებთან ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნითა და ამანათის მიღების უფლებით.

მსჯავრდებულ [redacted] [redacted] განმარტებით, სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით სურს N2 ან/და № 1 პენიტენციურ დაწესებულებაში გადასვლა, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია სოციალური კავშირის შენარჩუნება ოჯახის წევრებთან და სასჯელის მოხდა სურს დასავლეთ საქართველოში მდებარე, იმავე ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სადაც შეძლებს ისარგებლოს ოჯახის წევრებთან, როგორც ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის, ასევე, ამანათის მიღების უფლებით.

ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველის აპარატმა N10 პენიტენციური დაწესებულებიდან გამოითხოვა ინფორმაცია მსჯავრდებულ [redacted] [redacted] დაწესებულებაში განთავსების, ასევე, მის მიერ ოჯახის წევრებთან პაემნისა და ამანათის მიღების უფლებით სარგებლობის შესახებ.[1] დაწესებულებიდან სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ მსჯავრდებული [redacted] [redacted] N10 პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფება 2023 წლის 15 სექტემბრიდან და ამ პერიოდის განმავლობაში, მას კუთვნილი ხანმოკლე/ ხანგრძლივი პაემნის, ასევე, ამანათის მიღების უფლებით არ უსარგებლია.[2]

ასევე, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტს და №1 და №2 პენიტენციურ დაწესებულებებს, მსჯავრდებულ [redacted] [redacted] მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელთან ყველაზე ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში შესაძლო გადაყვანის საკითხთან დაკავშირებით.[3]

პენიტენციურმა დეპარტამენტმა სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ [redacted] [redacted] N10 პენიტენციურ დაწესებულებიდან სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, არ იგეგმება.[4]

№ 2 პენიტენციური დაწესებულების წერილის თანახმად, მსჯავრდებული [redacted] [redacted] ამავე დაწესებულებაში სასჯელს იხდიდა 2022 წლის 8 დეკემბრიდან 2023 წლის 15 სექტემბრამდე. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მსჯავრდებულმა ხანმოკლე პაემნით ისარგებლა 3-ჯერ, ამანათის მიღების უფლებით - 8-ჯერ, ხოლო, ხანგრძლივი პაემნით არ უსარგებლია. [redacted] [redacted] სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა კი მოხდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საფუძველზე. ამავე წერილის თანახმად, ამჟამად, დაწესებულებას მსჯავრდებულთა სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მიღების რესურსი არ აქვს.[5]

№1 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 2 აგვისტოს წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ დაწესებულებას მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებულთა მიღების რესურსი გააჩნდა.[6] თუმცა, ამავე დაწესებულების 2024 წლის 15 ოქტომბრის წერილის თანახმად, ამ ეტაპისთვის, დაწესებულებას აღარ გააჩნია მომეტებული რისკის მქონე პატიმრის მიღების რესურსი.[7]

პირადი საქმის თანახმად, [redacted] [redacted] ოჯახის წევრების საცხოვრებელი მისამართებია: ქ. ქუთაისი, [redacted] [redacted] [redacted] ასევე, აბაშის რაიონი, [redacted] [redacted][8]

სამართლებრივი დასაბუთება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პატიმრის შესაძლებლობას, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს ოჯახის წევრებთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროდ განიხილავს.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ ადგენს პატიმრის უფლებას, თვითონ აირჩიოს პენიტენციური დაწესებულება, **თუ პატიმარი მოთავსებული იქნება სახლიდან ისე შორს, რომ ოჯახის წევრების მხრიდან ვიზიტების განხორციელება მნიშვნელოვნად დაბრკოლდება ან შეუძლებელი გახდება, ეს შესაძლოა გახდეს ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევის საფუძველი.[9]** ამასთან, სასამართლოს შეფასებით, მსჯავრდებულის სოციალური კავშირების დაკარგვა (პაემანი, სატელეფონო ზარი, მიმოწერა), სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს გათავისუფლების შემდეგ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს.[10]

მართალია, კონვენციის მე-8 მუხლი არ მიეკუთვნება აბსოლუტური ხასიათის უფლებათა ჩამონათვალს და მასში ჩარევა შესაძლებელია ტრადიციული ტესტის[11] დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუმცა, ევროპული სასამართლო დარღვევის არსებობას ადგენს იმ კითხვაზე პასუხის გაცემით, მიღწეული იქნა თუ არა სამართლიანი ბალანსი ლეგიტიმურ მიზანსა და ინდივიდის უფლების შეზღუდვას შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, ერთი წლის განმავლობაში (2023 წლის 15 სექტემბრიდან) ოჯახის საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე დაწესებულებაში განთავსება, რაც ფაქტობრივად იწვევს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლების შეზღუდვას, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიან ბალანსად და კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა სასამართლომ ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შედეგად არაერთ საქმეში დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, როდესაც მსჯავრდებული განთავსებული იყო საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში და ამ მიზეზით, სრულყოფილად ვერ იყენებდა ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებას.[12] სასამართლოს შეფასებით, **ოჯახური ცხოვრება პატიმრის უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და შესაბამისმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ოჯახის წევრებთან სიახლოვის შენარჩუნებაში.**[13]

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, პატიმრის განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ახლოს მათ სახლებთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან.[14] ამასთან, ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის. რესოციალიზაცია კი თავის მხრივ სასჯელის აღსრულების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.[15]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ“ ცალსახად განსაზღვრავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.[16] ამავე დოკუმენტის თანახმად, პატიმრები მოთავსებული უნდა იყვნენ, თუ ეს შესაძლებელია, მათ სახლსა თუ სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში.[17]

პენიტენციური კოდექსის შესაბამისად, **მსჯავრდებული, როგორც წესი, სასჯელს იხდის მის ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.[18]**

აქვე, აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში არსებული პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულები, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდა და საშიშროების მომეტებული რისკი, შესაძლებელია განთავსდნენ დასავლეთ საქართველოში მდებარე, როგორც N1, ასევე, №2 პენიტენციურ დაწესებულებაში.

წინამდებარე საქმის ანალიზი

სახალხო დამცველის აპარატი სრულიად იზიარებს პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან პაემნის/ამანათის მიღების უფლებით დაუბრკოლებლად სარგებლობა და ამ საკითხებს შორის ბალანსის დაცვა. როგორც დადგინდა, [redacted] **ერთი წელია, ვერ სარგებლობს ოჯახის წევრებთან შეხვედრისა და ამანათის მიღების უფლებით.** აღნიშნული კი, საკმარისზე მეტი დროა საიმისოდ, რომ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გადახედოს თავის იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც პატიმრის უფლება ფაქტობრივად იზღუდება.

საგულისხმოა, რომ №1 და №2 პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულნი არიან მსჯავრდებულები, რომელთაც სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით განესაზღვრათ **დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდა, ან რისკების შეფასების გუნდის მიერ განესაზღვრათ მომეტებული რისკი.[19]**

აღსანიშნავია, რომ № 10 პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, № 1 და № 2 პენიტენციურ დაწესებულებებში მოქმედებს მსგავსი სარეჟიმო და სხვა პირობები. **თუმცა, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ № 1 და № 2 პენიტენციურ დაწესებულებებს არ გააჩნიათ მსჯავრდებულთა სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მიღების რესურსი. ამასთან, N2 პენიტენციური დაწესებულებიდან მისი გადაყვანა მოხდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული ინფორმაციის საფუძველზე.**

საგულისხმოა, რომ [redacted] მოთხოვნა დასავლეთ საქართველოში მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, უნდა გამორიცხავდეს მსჯავრდებულის კანონიერი უფლების უსაფრთხოების მოტივით შეზღუდვის ლეგიტიმურ შესაძლებლობას, ვინაიდან, N10 პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, N1 და №2 პენიტენციურ დაწესებულებებში უზრუნველყოფილია მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის განთავსებისა და გადაადგილების ზემოაღნიშნული პირობები. ასევე, N1 და №2 პენიტენციური დაწესებულებების დებულებებითა და ფაქტობრივად არსებული მდგომარეობით, **ბრალდებულები და მსჯავრდებულები განთავსებულები არიან საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულებების დებულებების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.[20]** ამასთან, დებულებების თანახმად, სუფთა ჰაერზე[21] გაყვანას ან დაწესებულების ტერიტორიაზე სხვა მოტივით გადაადგილებას წარმართავს დაწესებულების წარმომადგენელი.

აქვე აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატს არ გააჩნია ინფორმაცია, თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რა კონკრეტული გარემოება დაედო საფუძვლად მსჯავრდებულ [redacted] N2 პენიტენციური დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადაყვანას. თუმცა, მნიშვნელოვანია შეფასდეს, მსჯავრდებულის N2 პენიტენციურ დაწესებულებაში დაბრუნების შესაძლებლობა უსაფრთხოების პრობლემის ამოწურვის შემთხვევაში, დახურულ დაწესებულებაში არსებული ზემოხსენებული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ მსჯავრდებულ [redacted] ოჯახის წევრებთან ურთიერთობის აღდგენის მიზნით, განხილულ უნდა იქნეს მისი N1 ან N2 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა ამავე დაწესებულებებში შესაბამისი რესურსისა და უსაფრთხოების პრობლემის მოხსნისთანავე.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით, მსჯავრდებულის ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს სასჯელის მოხდის პრინციპის დაცვით, მსჯავრდებული [redacted] სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, რესურსისა და უსაფრთხოების პრობლემის (N2 პენიტენციურ დაწესებულებასთან მიმართებაში) აღმოფხვრისთანავე გადაყვანილ იქნას №1 ან №2 პენიტენციურ დაწესებულებაში.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები გვაცნობოთ გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

პატივისცემით,

[1] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 29 ივლისის N2024/3240 და 19 სექტემბრის № 2024/4610 წერილები.

[2] N10 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 31 ივლისის N223957/25 და 20 სექტემბრის №276373/25 წერილები.

[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 11 ივლისის N2024/2490, 29 ივლისის N2024/3270, 19 სექტემბრის N2024/4611წერილები.

[4] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარატამენტის 2024 წლის 11 ივლისის N202377/11 წერილი.

[5] №2 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 25 სექტემბრის №281151/01 წერილი.

[6] №1 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 2 აგვისტოს №227450/01 წერილი.

[7] №1 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 15 ოქტომბრის №307090/01 წერილი.

[8] №10 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 26 სექტემბრის №282327/25 წერილი.

[9] ვინტმანი უკრაინის წინააღმდეგ, N284403/05, პარ.78.

[10] იხ. დანილევიჩი რუსეთის წინააღმდეგ, N31469/08, 28.02.2022, პარ. 62.

[11] გათვალისწინებული იყოს კანონით, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

[12] ხოდორკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინააღმდეგ, N11082/06, 13372/05.

[13] მესინა იტალიის წინააღმდეგ, პარ. N61, 25498/94, 28.12.2000.

[14] ევროპული ციხის წესები, წესი 17.1.

[15] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 39, ნაწ. 1.

[16] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნ. მანდელას წესები), წესი N106.

[17] იქვე, წესი 59.

[18] პენიტენციური კოდექსი, მუხ. 52, ნაწ. 3.

[19] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N119 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს № 2 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ", მუხ. 2, პუნქტ. 2; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 8 სექტემბრის N928 ბრძანება „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ", მუხ. 2, პუნქ. 2.

[20] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 8 სექტემბრის N928 ბრძანება „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ", მუხ. 12, პუნქტ. 1; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №119 ბრძანება, „№2 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ," მუხ. 14, პუნქ. 1.

[21] ყოველდღიურად, არანაკლებ 1 საათისა.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი